ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) *2013 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, C-283/11 - Sky Österreich; ECLI:EU:C:2013:28.*

მოკლე მიმოხილვა:

აღნიშნული საქმე შეეხება **აუდიოვიზუალური მედიამომსახურების შესახებ დირექტივის 2010/13/EU მე-15 მუხლს**, რომელიც **იცავს საზოგადოებისთვის მაღალი ინტერესის მქონე მოვლენებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას.** სასამართლოს უნდა შეეფასებინა, **არღვევდა თუ არა ეს მუხლი ეკონომიკურ თავისუფლებას**, **რადგან ის ექსკლუზიური მაუწყებლობის უფლების მფლობელებს ავალდებულებდა სხვა მაუწყებლებისთვის მიეცათ უფლება,** სიგნალზე დაშვების ხარჯების ანაზღაურების სანაცვლოდ, **გამოეყენებინათ მოკლე ნაწყვეტები საინფორმაციო გამოშვებებში**.

სასამართლომ დაადგინა, რომ ექსკლუზიური მაუწყებლობის უფლების მფლობელების ეს ვალდებულება აუცილებელი იყო ინფორმაციის თავისუფლებისა და მედიაპლურალიზმის დასაცავად და არ ზღუდავდა ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების არსს. გამომდინარე იქიდან, რომ ეს დებულება უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ ინტერესსა და ექსკლუზიური მაუწყებლების ეკონომიკურ უფლებებს შორის სამართლიან ბალანსს, ის ჩაითვალა კანონიერ შემზღუდავ ზომად.

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

„[...] 32 **დირექტივის 2010/13 მე-15(1) მუხლი განსაზღვრავს, რომ მოკლე საინფორმაციო გამოშვებების მიზნით, ევროკავშირში დაფუძნებულ ნებისმიერ მაუწყებელს უნდა ჰქონდეს დაშვება საზოგადოებისთვის მაღალი ინტერესის მქონე მოვლენებზე, რომლებიც ექსკლუზიურად გადაიცემა მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი მაუწყებლის მიერ.** დირექტივის მე-15(3) მუხლის თანახმად, აღნიშნული დაშვება მაუწყებლებისთვის, პრინციპში, გარანტირებულია გადამცემი მაუწყებლის სიგნალიდან მოკლე ნაწყვეტების თავისუფლად არჩევის უფლებით. დირექტივის მე-15(6) მუხლის თანახმად, როდესაც ექსკლუზიური აუდიოვიზუალური მაუწყებლობის უფლების მფლობელისთვის **გათვალისწინებულია კომპენსაცია, ის არ უნდა აღემატებოდეს სიგნალზე დაშვების უზრუნველყოფიდან პირდაპირ წარმოშობილი დამატებითი ხარჯების ოდენობას.“**

[...]

„49 ამასთან დაკავშირებით, **სასამართლო აღნიშნავს, რომ დირექტივის 2010/13 მე-15(6) მუხლი გავლენას არ ახდენს ბიზნესის წარმოების თავისუფლების ძირითად შინაარსზე. ეს დებულება ხელს არ უშლის ექსკლუზიური მაუწყებლობის უფლების მფლობელს განახორციელოს ბიზნეს-საქმიანობა.** უფრო მეტიც, ის ხელს არ უშლის ამ უფლებების მფლობელს ისარგებლოს თავისი უფლებებით და თავად გააშუქოს შესაბამისი მოვლენა ან ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს ეს უფლება სხვა მაუწყებელს თუ ნებისმიერ სხვა ეკონომიკურ ოპერატორს.“

„51 ამასთან დაკავშირებით, **სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ მარკეტინგი საზოგადოებისთვის მაღალი ინტერესის მქონე მოვლენების ექსკლუზიურ დაშვებაზე იზრდება, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეზღუდოს ფართო საზოგადოების წვდომა ამ მოვლენებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე. სწორედ ამასთან დაკავშირებით,** როგორც მისი პრეამბულის 48-ე და 55-ე პუნქტებიდან ჩანს, **დირექტივის 2010/13 მე-15 მუხლის სულისკვეთებას წარმოადგენს ინფორმაციის მიღების ფუნდამენტური თავისუფლების დაცვა,** რომელიც გარანტირებულია ქარტიის მე-11(1) მუხლით, და ევროკავშირში ინფორმაციის წარმოებისა და პროგრამირებისას მედიაპლურალიზმის წახალისება, რაც დაცულია ქარტიის მე-11(2) მუხლით.“

[...]

„53 ანალოგიურად, **დირექტივის 2010/13 მე-15(6) მუხლი დასახული მიზნის მიღწევის უზრუნველყოფისთვის შესაფერისი საშუალებაა. აღნიშნული დებულება, მაუწყებლებისთვის ამ მოვლენებზე დაშვების უზრუნველყოფის გზით, ნებისმიერ მაუწყებელს აძლევს შესაძლებლობას მოამზადოს მოკლე საინფორმაციო გამოშვებები და ამით მოახდინოს ფართო საზოგადოების ინფორმირება იმ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე მოვლენების შესახებ, რომლებიც ექსკლუზიური მაუწყებლობის უფლებით არის წარმოდგენილი ბაზარზე.** აღნიშნული დაშვება მათთვის გარანტირებულია მიუხედავად, ერთი მხრივ, მათი კომერციული ძალაუფლებისა და ფინანსური შესაძლებლობებისა, ხოლო მეორე მხრივ, ექსკლუზიური მაუწყებლობის უფლების მოსაპოვებლად გადახდილი ფასისა, ასეთი უფლებების მფლობელებთან სახელშეკრულებო მოლაპარაკებებისა და შესაბამისი მოვლენების მასშტაბისა.“

[...]

„63 გარდა ამისა, ამ პრეამბულისა და დირექტივის 2010/13 მე-15(6) მუხლის შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ მიღებული სიგნალიდან გამოშვებისთვის შესაბამისი ნაწყვეტების მიწოდების ფორმები და პირობები ექსკლუზიური მაუწყებლობის უფლებების გათვალისწინებით. ამ მხრივ, მე-15(3), (5) და (6) მუხლიდან და პრეამბულის 55-ე პუნქტიდან ირკვევა, რომ ეს ნაწყვეტები სხვა საკითხებთან ერთად, უნდა იყოს მოკლე და მათი მაქსიმალური ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდაათ წამს. ანალოგიურად, წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ ამ ნაწყვეტების გადაცემის ვადები. ბოლოს, **მოკლე საინფორმაციო გამოშვების შემქმნელმა მაუწყებლებმა, მე-15(3) მუხლის შესაბამისად, უნდა მიუთითონ მათ გამოშვებებში გამოყენებული მოკლე ნაწყვეტების წყარო, რაც, სავარაუდოდ, დადებით ზეგავლენას მოახდენს შესაბამისი ექსკლუზიური მაუწყებლობის უფლებების მფლობელის ცნობადობაზე.**“

[...]

„67 ასეთ გარემოებებში, **ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოს კანონის საფუძველზე უფლებამოსილება ჰქონდა, დაეწესებინა დირექტივის 2010/13 მე-15(6) მუხლით გათვალისწინებული ბიზნესის წარმოების თავისუფლებაზე შეზღუდვები ექსკლუზიური მაუწყებლობის უფლებების მფლობელებთან მიმართებაში და ჩაეთვალა, რომ ამ დებულებიდან გამომდინარე უარყოფითი მხარეები არ არის არაპროპორციული მის მიერ დასახულ მიზნებთან მიმართებაში და რომ ისინი უზრუნველყოფენ სამართლიან ბალანსს განსახილველ სხვადასხვა უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს შორის.**“

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების XXXIII დანართი
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 10 მარტის დირექტივა 2010/13/EU „აუდიოვიზუალური მედიამომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონებით, რეგულაციებით ან ადმინისტრაციული აქტებით გათვალისწინებული გარკვეული დებულებების კოორდინაციის შესახებ“ (აუდიოვიზუალური მედიამომსახურების დირექტივა)
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2010/13/EU მე-15(6) მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტები *(სარეგისტრაციო კოდი: 450.140.000.05.001.001.632; 12/06/2025 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	სხვა მაუწყებლების დაშვება მთავარი მოვლენის გადაცემაზე
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*2013 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, C-283/11 - Sky Österreich; ECLI:EU:C:2013:28*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს სამართლებრივ რჩევად.